პრესრელიზი
Press Release

11 ოქტომბერს 11:00 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებლის პრესცენტრში პროექტთან დაკავშირებით ,,გასაგებ ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობებისთვის" საზოგადოებრივი მაუწყებლის, აშშ-ის საელჩოს და რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის (GARB) ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართება.

პრესკონფერენციას დაესწრება იან კელი - აშშ-ის ელჩი საქართველოში, გრიგოლ გოგელია- საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი- საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი და ნათია კუპრაშვილი- საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი.

,,გასაგებ ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობებისთვის" რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი პროექტია, რომელიც აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით ხორციელდება.

პროექტის ფარგლებში საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში საინფორმაციო გადაცემა "მოამბე" ყოველდღიურად, 20:00 საათზე, გადაიცემა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენის მატარებელი ხმოვანი ბილიკების თანხლებით (ენის რეჟიმის გადართვა შესაძლებელია სეთ-ტოპ-ბოქსის (რესივერი) დისტანციური პულტის საშუალებით).

A joint press conference held by the U.S. Embassy, Georgian Public Broadcaster and Georgian Association of Regional Broadcasters announcing the project "Increasing Access to Information for Ethnic Minorities" will take place at 11:00 on October 11 at the Public Broadcaster's press center.

U.S. Ambassador to Georgia Ian C. Kelly, Head of the Board of Trustees (GPB) Grigol Gogelia, Director General (GPB) George Baratashvili and Natia Kuprashvili, Executive Director at Georgian Association of Regional Broadcasters, will be participating in the conference.

"Increasing Access to Information for Ethnic Minorities" is the joint project of GARB and Georgian Public Broadcaster, implemented with the support of the U.S. Embassy.

This project will broadcast the main news program of GPB, "Moambe," at 20:00 in Georgian, Armenian, and Azerbaijani languages (selection of languages is available by the Set Top Box receiver, with the help of remote control).

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ტელ. : 2 409 477; 2 409235; მობ: 577 10 99 88; 577 13 90 00

Contact us : Tel. : 409 477; 409 235
Mob. : (+995) 577 109 988; (+995) 577 109 933

pr@gpb.ge , info@gpb.ge